

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში  
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) მე-200 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, როდესაც აქტიური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ღირებულება აღემატება სამი ათას ლარს.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი